საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5154
30/06/2023

5154-21-2-202306301908

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: შპს „საქენერგოს“
მის: ქ. თბილისი, ყიფშიძის შესახვევი 15, სართ. 3
ელ. ფოსტა: tengo@archi.ge

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

გაცნობებთ, რომ 2023 წლის 19 ივნისს შპს „საქენერგოს“ მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია თეთრიწყაროს და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში, მდ. ხრამზე 10.4 მგვტ სიმძლავრის „ხრამი 7 ჰესის“ მშენებლობა-ექსპლუატაციისა და 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია. გზშ-ის ანგარიშის შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ბმული - https://nea.gov.ge/Ge/GZSH/6029).

დამატებით გაცნობებთ, მდ. ხრამზე 10.4 მგვტ სიმძლავრის „ხრამი 7 ჰესის“ მშენებლობა-ექსპლუატაციისა და 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართება **2023 წლის 4 აგვისტოს 12:00 საათზე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. ქოსალარის საჯარო სკოლის შენობაში და 2023 წლის 4 აგვისტოს 16:00 საათზე ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფ. დისველის საჯარო სკოლის შენობაში.** გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, განთავსებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ბმული - https://nea.gov.ge/Ge/GZSH/6050).

„საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანების თანახმად, გზშ-ისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობაზე სკოპინგის ანგარიშისა და გზშ-ის ანგარიშის **საჯარო განხილვას უნდა ესწრებოდეს საქმიანობის განმახორციელებელი ან/და კონსულტანტი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), **ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს წარმომადგენელი.**

შესაბამისად, გთხოვთ უზრუნველყოთ თეთრიწყაროს და ბოლნისის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს წარმომადგენლის დასწრება საჯარო განხილვაზე და **შესაბამისი კანდიდატურის (საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით) წარმოდგენა სააგენტოში.**

ვინაიდან, კანონმდებლობის დადგენილი წესით, საჯარო განხილვა ტარდება ქართულ ენაზე საჭიროების შემთხვევაში - გთხოვთ, უზრუნველყოთ აღნიშნულ განხილვაზე ეროვნული უმცირესობის ენაზე თარჯიმნის დახმარებით ურთიერთობა. ამასთან, დამატებით გთხოვთ, უზრუნველყოთ საჯარო განხილვების შესახებ გამოსაქვეყნებელი განცხადების ეროვნული უმცირესობის ენაზე თარგმნა.

ამასთან გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება, როგორც თეთრიწყაროს და ბოლნისის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს (სოფ. ქოსალარი და სოფ. დისველი), საინფორმაციო დაფაზე და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, აგრეთვე ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილას (მაგ: ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი) და **განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია გადმოაგზავნოთ ფოტომასალის სახით.**

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2023 წლის 18 აგვისტოს ჩათვლით,** მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N34 ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge

დანართის სახით, გიგზავნით ინფორმაციას აღნიშნული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ.

დანართი: ტექსტის თანახმად.

მაია ბერაძე

სააგენტოს უფროსის მოადგილე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო